ხაშურის მოამბე

№13 (44) 4 აპრილი, ორშაბათი, 2016 წელი

ხცისსა და ახალშენში სასმელი წყლის პრობლემა მოიხსნება

ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლების ხცისისა და ახალშენის მოსახლეობას წლებია სასმელი წყლის პრობლემა აწუხებთ. მუნიციპალიტეტის გამგეობამ უკვე მონახა ამ პრობლემის მოგვარების გზები და მიმდინარე წელს ამისათვის ასიგნებანიც გამოჰყო. ამჟამად აქ მთელი ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სასმელი წყლის გაუსნებოვნების მიზნით, აქვე შენდება ნაგებობა, სადაც გამოყენებული იქნება უახლესი სამეცნიერო-ტექნიკური მახასიათებლების „ელექტრონული აქტივაცია", თანამედროვე დანადგარებით და საინსტალაციო სისტემით.

თუ აქამდე ადგილობრივი მოსახლეობა არტერიული ჭებით სარგებლობდა, სამუშაოების დამთავრების შემდეგ ისინი წყლით ერთიანი და ეკოლოგიურად სუფთა ქსელით მომარაგდებიან.

სურამულას კალაპოტი იწმინდება

მიმდინარე წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, მუნიციპალიტეტის გამგეობას მდინარე სურამულას გაწმენდითი და ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის სოლიდური თანხები აქვს გამოყოფილი. ამ სამუშაოების პირველი ეტაპი უკვე დაწყებულია და ამ დღეებში ე.წ. „მტს"-ის დასახლებაში სურამულასა და მტკვრის

შესათავთან უკვე ჩატარდა კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები. მდინარის ეს მონაკვეთი განსაკუთრებით საშიშია წყალდიდობის დროს და ამ პერიოდში ადიდებული მდინარისაგან ბევრჯერ დაზარალებულა მოსახლეობა. იმედია,

მიზანდასდახული მეწარმე

„ხაშურის მოამბე" კვლავ აგრძელებს მკითხველისათვის წარმატებული მეწარმეების გაცნობას. ჩვენი შემდეგი შეხვედრა ბატონ გელა გელაშვილთან დაიგეგმა, რომელიც ევროპული სტანდარტების მქონე სასაკლაოს აშენებს. ჯერჯერობით, მშენებლობა შუა ეტაპზეა, თუმცა შედეგი დიდხანს არ დააყოვნებს და რაიონს სრულიად ახალი თანამედროვე საწარმო ექნება სანიტარული ნორმების უზრუნველყოფით. არ აყოვნებს სახელმწიფოც და აქტიურად ცდილობს, ხელი შეუწყოს მოქალაქეების ამგვარ წამოწყებებს. მათი მიზანია ყველა რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების შექმნა, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობაში ჩართული მეწარმეების იაფი, გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით, პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესება. ბატონმა გელამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა კიდეც, რომ ის ისარგებლებს სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში", რომელიც მეწარმის საქმიანობისათვის ნამდვილად ხელშემწყობი იქნება. ეს პროგრამა ითვალისწინებს ახალი საწარმოების შექმნას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას და ადგილობრივი საწარმოების სტიმულირებას განსაკუთრებით ეკონომიკურად განვითარებულ რეგიონებში.

ამ პროგრამის მიზანია, უპირველესად, ქართული პროდუქციის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მისი ხარისხის უზრუნველყოფა და წარმოებაზე ორიენტირებული ინდუსტრიების განვითარება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მეწარმეს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი, ისევ და ისევ შექმნას თავადვე სამუშაო ადგილები და ხელი შეუწყოს რაიონის განვითარდეს,, ასევე მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება.

გელა გელაშვილი: მშენებლობა დაახლოებით სამი თვის წინ დავიწყე.

(დასასრული II გვერდზე)

"Je suis შერჩევით" - ანუ როცა სოლიდარობა მხოლოდ ერთეულებს ეკუთვნით

"ტერორიზმს ეროვნება არ აქვს" - ეს ფრთიანი ფრაზა ჩვენც ხშირად გვითქვამს და ალბათ უფრო ხშირად ხელისუფლების უმაღლესი პირებისაგან გაგვიგია, თუმცა ტერორიზმისაგან განსხვავებით, მის მსხვერპლს აქვს ეროვნება, ყოველ შემთხვევაში, ბევრისთვის სწორედ მსხვერპლის ეროვნება განსაზღვრავს, განიცადოს თუ არა მომხდარი.

მას შემდეგ, რაც გასულ წელს პარიზში ტერაქტები მოხდა, უამრავი ადამიანისაგან გაიგებდით "ჟე სუის ფრანცე", მეტიც, ტერაქტიდან ძალიან მალე სოციალური ქსელი საფრანგეთის დროშებმა წალეკა. მართლაც სასიამოვნო იყო, როდესაც ქვეყანას, რომელსაც ამხელა ტრაგედია დაემართა, მთელი მსოფლიო უცხადებდა სოლიდარობას (ალბათ სწორედ სოლიდარობაა ერთ-ერთი მთავარი იარაღი ტერორიზმის წინააღდმეგ). სოლიდარული იყო მსოფლიო ბელგიის ტერაქტის დროსაც. პარიზის ტერაქტსა და ბელგიის ტერაქტებს შორის მსოფლიოში უამრავი ტერაქტი მოხდა და ფანატიკოსების გაუაზრებელ ქმედებას ძალიან ბევრი ადამიანიც შეეწირა, თუმცა არსად (ან ძალიან იშვიათად) შემხვდა "ჟე სუის ტურკეე" ან თუნდაც "ჟე სუის ირაქ" და სხვა.

ნიგერიაში, კვირა არ გავა, რომ იქაურმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ "ბოკო ჰარამმა" ტერორისტული აქტი არ მოაწყოს, რასაც ასობით ნიგერიელის სიცოცხლე ეწირება, თუმცა მსოფლიო დუმს, როგორც ჩანს ცივილიზაციის მონაპოვარი - სოლიდარობა მხოლოდ ერთეულებს ეკუთვნით, ხოლო ცივილიზაციისაგან საკმაოდ შორს მყოფი აფრიკა სადარდებელი არაა.

არაა საჭირო შორს წასვლა იმისათვის, რომ ვნახოთ შერჩევითი სოლიდარობის მაგალითები. ჩვენს მეზობელ თურქეთში, იქ, სადაც უამრავი ქართველი ტურისტი ყოფილა და კიდევ უამრავი ჩავა, ცოტა ხნის წინ მოხდა ტერაქტი. სამწუხაროდ, არც ჩვენ, მეზობლები ვიყავით ერთსულოვანი სოლიდარობაში. კი ბატონო, არაა აუცილებელი დროშა დააყენო პროფილის ფოტოდ ან დაწერო ჰეშთეგი №prayforturkey, მაგრამ თუ იგივეს საფრანგეთის ან ბელგიისთვის ვაკეთებთ, თურქეთში ადამიანები არ დაიხოცნენ?! სხვათა შორის,

ორი დღის წინ 40-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა პაკისტანში მოწყობილ ტერაქტს, მაგრამ ჟე სუის-ები არსად ჩანან და, ეჭვი მაქვს, არც გამოჩნდებიან.

შერჩევითობა ყველაფერში ძალიან ცუდია, მით უფრო, სოლიდარობაში და, მით უფრო, ისეთ საქმეში, რომელსაც ადამიანები ეწირებიან. მეეჭვება, თურქეთში ან პაკისტანში გარდაცვლილი მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისთვის რაიმე შვება ყოფილიყო პაკისტანის ან თურქეთის დროშის ფერებში განათებული ეიფელის კოშკი (სწორედ ისე, როგორც ცოტა ხნის წინ განათდა ბელგიის დროშის ფერებში), თუმცა ეს ნიშანი იქნებოდა ტერორისტებისათვის, რომ მსოფლიო ყველა ტერაქტზე ერთნაირად რეაგირებს და რომ ტერორიზმი მართლაც მსოფლიო სენია.

იმედია, ეიფელის კოშკს აღარასოდეს მოუწევს რომელიმე ქვეყნის დროშისფრად განათება, თუმცა ფაქტია, რომ მსოფლიომ საშინაო დავალება (ან თუნდაც გაკვეთილი) სახელად სოლიდარობა, ვერ ჩააბარა, უფრო სწორად, შერჩევით ჩააბარა, შერჩევითობა კი ძალიან შორსაა გულწრფელობისაგან.

ლადო გოგოლაძე

ambebi.ge

(დასასრული)

მიზანდასდახული მეწარმე

დიდ და კარგ საქმეს შევეჭიდე. უდიდესი შრომაა ჩადებული, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საქმის ნახევარია გაკეთებული, დიდი შემართებით ვართ და მივწევთ დასახული მიზნისაკენ, რადგან, ვფიქრობთ, შედეგი ამად ეღირება.

– ბატონო გელა, ამგვარ საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ შესაძლებლობა გეძლევათ მოქალაქეების დასაქმებისა..

– მართლაც ასეა, უფრო მეტიც, ვფიქრობ ეს ამ წამოწყების უმთავრესი სიკეთეა. ამჟამად მხ-

ოლოდ სარემონტო სამუშაოებზე, ყოველდღიურად 25 ადამიანი მუშაობს, რაც, თავისდავად, ჩვენი რაიონის 25 დასაქმებულ მოქალაქეს ნიშნავს. საწარმოს ამუშავების შემდეგ ეს რიცხვი, დაახლოებით, ორჯერ გაიზრდება. ესენი იქნებიან ვეტერინარები, ყასბები, დისტრიბუტორები, შესაბამისად, დაახლოებით 50 ადამიანს და მათ ოჯახებს ექნებათ სტაბილური შემოსავალი.

– საწარმოს გაფართოებას თუ გეგმავთ მომავალში?

– გარდა ცხოველების სასაკლაოსი, ვაპირებ ნახევარფაბრიკატებისა და ძეხვეულის წარმოებასაც. ვფიქრობ, ასევე სასუქე პუნქტის მოწყობასაც, სოფელში დაახლოებით 20 ჰექტარამდე მიწა მაქვს და თავისუფლად მოხერხდება ცხოველების ფერმის მოწყობა. ცხადია,საწარმო ამ გზით უფრო გაფართოვდება.

აქვე მინდა დავამატო, რომ წინასწარი გამოთვლებით, საწარმო ყოველდღიურად 50-მდე სული საქონლის მიღებას შეძლებს, თავდაპირველად ძროხებისა და ღორების, მოგვიანებით კი ცხვრისაც, რადგან ცხვრის დამუშავება განსხვავებულ სპეციფკასთანაა დაკავშირებული, თუმცა ჩვენი საწარმო ამასაც უზრუნველყოფს.

– ბატონო გელა, როგორც ვიცით, სახელმწიფო პროგრამითაც ისარგებლებთ?

– დიახ, ნამდვილად ასეა. სახელმწიფოს როლი ამგვარ საკითხებში ყოველთვის მნიშვნელოვანია. ბიზნესის და საწარმოს წასახალისებლად ამგვარი პროგრამები ნამდვილად შეღავათია ჩვენთვის. პროგრამაში „აწარმოე საქართველოში" დაახლოებით 10 დღის წინ ჩავერთე და გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ 250 000 ლარის ოდენობით მოხდება ჩემი დაფინანსება. ჩატარებული სამუშაოები მთლიანად ჩემი ხარჯებით გავწიე, ასე რომ სახელმწიფოს მერ გამოწვდილი დახმაების ხელი ნამდვილად დროული იყო.

ამგვარი საწარმოს შექმნა, გარდა უზარმაზარი ფინანსური ხარჯებისა, სანიტარული ნორმების ზედმიწევნით დაცვას მოითხოვს. იმ მეწარმეთათვის, ვინც ეწევა ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას, გადამუშავებასა და დისტრიბუციას, ჰიგიენის ზოგადი წესის გარდა, მოქმედებს ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესი. პირველ რიგში, სასაკლაოში გამოყოფილი უნდა იყოს ცხოველისათვის მოსაცდელი სადგომი, განცალკევებული ადგილი დაავადებული ან სავარაუდოდ დაავადებული შინაური ჩლიქოსანი ცხოველისათვის, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამუშაო სივრცე ცოცხალი ცხოველის გაბრუება, გამოშიგვნის და შემდგომი გაწმენდის, ნაწლავებისა და გულმკერდის დამუშავების, შიგნეულის დაფასოებისათვის სხვადასხვა დროს ან ერთმანეთისაგან განცალკევებულად, რათა ცხოველის ხორცი არ დაბინძურდეს. ჭერის სიმაღლე და სასაკლაოს საამქროს ფართობი ისეთი უნდა იყოს, რომ ხორცი იატაკსა და კედლებს არ ეხებოდეს. დრენაჟმა საფრთხე არ უნდა შეუქმნას სურსათის უვნებლობას, ასევე უნდა არსებობდეს სპეციალურად გამოყოფილი ადგილი ან ტერიტორია ნაკელისათვის. სასაკლაოში გამოყენებული იარაღებისა და ხელსაწყოების დეზინფექცია უნდა მოხდეს 82 გრადუსიანი ცხელი წყლით ან ალტერნატიული სადეზინფექციო საშულებით. ცხოველის სახორცედ დაკვლა, მათი რეალიზაციის მიზნით დაიშვება მხოლოდ საწარმოში უფლებამოსილი ორგანოს ვეტერინარულ-სანიტარული ზედამხედველობის ქვეშ. თუ ხორცს არ გაუვლია ვეტერინარული შემოწმება დაუშვებელია მისი რეალიზაცია. რაც მთავარია, დაკვლისას ცხოველი უნდა იყოს სუფთა მდგომარეობაში, ფეკალური დაბინძურების გარეშე. თავიდან უნდა იყოს აცილებული ხორცის დაბინძურება ცხოველის გაბრუების, სისხლგართმევის, გატყავების, გამოშიგვნისა და შემდგომი დამუშავებისას.

დაკვლის შემდეგ, დაფასოებული სურსათი დაუფასოებელი სურსათისაგან განცალკევებულად უნდა შეინახოს და ასევე მოხდეს მისი განცალკევებულად ტრანსპორტირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ სახეობის პროდუქტების შენახვა-ტრანსპორტირება სხვა დროს ხდება. ასევე არ შეიძლება საკვებად უვარგისი ხორცის საკვებად განკუთვნილ ხორცთან ერთად დასაწყობება. სასაკლაოში აუცილებლად უნდა იყოს საყინულე აღჭურვილობა, ხორცის სასაკლაოში შენახვისას, რათა გასაყინი ხორცი დაუყოვნებლივ გაიყონოს. ამ ჰიგიენურ და ვეტერინარულ ნორმებს ბატონი გელა თავადაც კარგად იცნობდა და დაგვარწმუნა, რომ თითოეული მათგანი ზედმიწევნით იქნებოდა შესრულებული მის საწარმოში.

ჩვენთან ერთად შეხვედრაზე სოფლის მეურ-

ნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლების გარდა, იმყოფებოდნენ გამგებლის წარმომადგენლები ქალაქ ხაშურის ადმინისტრაციულ ერთეულში და მუნიციპალური ქონების აღიცხვისა და მართვის განყოფილების თანამშრომლები. ბატონ გელას განცხადების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს დამატებით მიწის ნაკვეთის გამოყოფას მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან, წარმომადგენლები ადგილზე მივიდნენ და დაათ-

ვალიერეს სარემონტო სამუშაოები, ზედმიწევნით გაეცნენ მის სამომავლო გეგმებს. მათი დადებითი დასკვნის საფუძველზე ბატონი გელა მომავალში შეძლებს საწარმოს გაფართოებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო და უშუალოდ ჩვენი მუნიციპალიტეტი ძალას არ იშურებს წარმოებაზე ორიენტირებული ობიექტის განსავითარებლად.

წარმატებას ვუსურვებთ ბატონ გელას ამ უდიდეს წამოწყებაში.

თ. ახალკაცი

ხაცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობაზე ბინათმესაკუთრეებმა და მუნიციპალიტეტმა ერთად რომ იზრუნონ

საახალწლო დღეებში სტუმრად ხაშურის ერთ-ერთ ქუჩაზე მდებარე კორპუსში ვიყავი. ხუთი სართულის სადარბაზო წინა საახალწლოდ იყო მორთული, ყველა სართულზე პატარა ნაძვისხე იდგა, ქაღალდისგან გამოჭრილი ფიგურები, ფერადი ბუშტები ამშვენებდა კედლებს-ბავშვური მონდომება და ხელი ეტყობოდა ყველაფერს. სიგარეტის, პოლიეთელინის, ათასგვარი ნარჩენების, კედელზე თინეიჯერების ამოკაწრული სახელების, ნაგვის ბუფერებს შემოჩვეული ვირთხებნანახი მეხსიერება, გააოცა და გააკვირვა ამ ბავშვების მიერ შექმნილმა ახალმა წელმა. გაუცნობიერებელი, ბავშვური გულწრფელობა სახლიდან სადარბაზოში გამოიტანეს და საყოველთაო დღესასწაულად აქციეს, გაანაწილეს ემოცია, ასე ერთად, მაგალითის მიცემად. ეს ამბავი, საკრებულოს დეპუტატ ლაშა მესხის ინიციატივამ გამახსენა, რომელიც მრავალბინიანი ამხანაგობების შექმნას ეხება. საუბარია მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობებს შორის შეთანხმებულ, კოორდინირებულ მუშაობაზე, სადაც ფინანსური გადანაწილების საფუძველზე, ინფრასტრუქტურულად გამართულ და ესთეტიურად მიმზიდველ საცხოვრებელ კორპუსებს მივიღებთ. დადგენილება უახლოეს დღეებში გავა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად. უფრო დეტალურად, ინიციატივის ავტორს, **ლაშა მესხს** ვესაუბრეთ:

–კანონი მრავალბინიანი ამხანაგობების შესახებ 2007 წელს იქნა მიღებული, თუმცა, ჯერ ისევ რჩება პრობლემები პატარა ქალაქებში, დროა საჭირო, რომ ორივე მხარემ, მოსახლეობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეიძინონ გამოცდილება ამ მხრივ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია მუნიციპალიტეტების მიერ მრავალბინიან სახლებში განსახორციელებელ პროექტებში ამხანაგობების ჩართულობის და მონაწილეობის შესახებ. ეს მოიცავს არამხოლოდ სახურავის, ან ეზოს კეთილმოწყობას, არამედ მთლიან ინფრასტრუქტურას-სადარბაზოებს, კიბეებს, განათებას, შედებვას, ლიფტებს. ხაშურის მუნიციპალიტეტს წლევანდელ ბიუჯეტში 70 000 ლარი აქვს განსაზღვრული ბინათმესაკუთერეთა ამხანაგობების დაფინანსებების პროგრამისთვის. ეს ერთმნიშვნელოვნად მიმართულია მათი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, თუმცა, მნიშვნელოვანია ჩვენი, მოსახლეობის ჩართულობა და თანამონაწილეობა. გამგეობის მხრიდან იყო საუბარი პროცენტულობის დაწევაზე (20%-დან). გამგეობის მხრიდან იყო შემოთავაზება, რომ ბინათმესაკუთრის ფინანსური მონაწილეობა 5-10 % იყოს, დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით. ეს არის ერთგვარი სურვილი თანამშრომლობის მუნიციპალიტეტსა და ამხანაგობებს შორის, რომ მათი თანასაკუთრების დაცვა და გაფრთხილება მოხდეს. დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე მდებარე კორპუსის მოსახლეობა ითხოვდა კორპუსის გადახურვას და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, აქედან გაჩნდა იდეა. საყოველთაოდ აპრობირებული მეთოდია, რომ ის, რის გაკეთებაშიც შენ, როგორც მოქალაქეს, მიგიძღვის წვლილი, უფრო მეტად უვლი და უფრთხილდები. საქართველოს მასშტაბით მსგავსი გამოცდილება მხოლოდ დიდ ქალაქებშია. როდესაც ამ დადგენილების პროექტზე ვმუშაობდით, გავეცანით ჭიათურას, თელავს, ამბროლაურს, ტყიბულს, სადაც პროცენტული გადაანგარიშება თითქმის მსგავსია. ყველა ბინას ეყოლება თავისი წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფორმალური მხარეების მოგვარებაზე და მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაზე. საკრებულოს დადგენილება უახლოეს დღეებში გავა საკრებულოს სხდომაზე. დიდია ინტერესი დეპუტატების მხრიდანაც, განხილვის თემა ძირითადად პროცენტული ზღვარის დადგენაა. ამ დადგენილების დამტკიცების შედეგი იქნება მოწესრიგებული კორპუსები, ეზოები, სადარბაზოები, სახურავები, განათებები.

დიდი იმედი მაქვს, საკრებულოს წევრები მხარს დაუჭერენ ინიციატივას, მოსახლეობა კი მაგალითს თუნდაც ამ პატარებისგან აიღებს, რომლებმაც დაიწყეს სახლებიდან, სადარბაზოებში, ქუჩებში, ქალაქში გამოვლენ და გვასწავლიან, როგორ გავაფერადოთ საკუთარი გარემო და ქალაქი.

თ. ჯავახიშვილი

Microsoft E2- Educator Exchange კონფერენცია

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ,რომ Microsoft ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს და ამ პროგრამის ფარგლებში, მის მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში ხაშურის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ნანა დაბრუნდაშვილმა გაიმარჯვა და ნოვატორ მასწავლებლის წოდებაც მიენიჭა. ამ კონკურსისი დამაგვირგვინებელი ფინალი უნგრეთის დედაქალაქში – ბუდაპეშტში შედგა, სადაც ქალბატონი ნანაც იყო მიწვეული. ამ დღეებში იგი ბუდაპეშტიდან დაბრუნდა და ჩვენ ვთხოვეთ, უფრო კონკრეტულად მოეთხრო თავისი სამდღიანი ვიზიტის შესახებ,

რაზეც ქალბატონი ნანა სიამოვნებით დაგვთანხმდა:

Microsoft მსოფლიოს მასშტაბით აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს, ის მხარს უჭერს იმ ინოვატორ მასწავლებლებს,რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორიცაა კომუნიკაციის, კოლაბორაციის, ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ჩვევები.

Microsoft E2-Educator Exchange – არის Microsoft-ის ყოველწლიური საგანმანათლებლო ღონისძიება, რომელზედაც იწვევენ კონკურსის შედეგად გამარჯვებულ იმ ინოვატორ მასწავლებლებს (MIE –Microsoft Innovator Educator), რომლებიც სწავლებისას ერთმანეთს უთანხმებენ სასწავლო მასალას, პედაგოგიკას და ტექნოლოგიებს, რათა მოსწავლეთათვის სწავლის პროცესი უფრო საინტერესო და ნაყოფიერი გახადონ.

წელს ჩემი მოსწავლეების პროექტი მათემატიკაში: „სიმეტრია-სამყაროს ჰარმონია“ გახდა გამარჯვებული Microsoft-ის კონკურსში და წილად მხვდა ბედნიერება დავსწრებოდი არაჩვეულებრივად ორგანიზებულ მსოფლიოს ინოვატორ მასწავლებელთა ფორუმს უნგრეთის ულამაზეს დედაქალაქ ბუდაპეშტში,ჩემთან ერთად კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის 43-ე სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნინო აბულაძე და Microsoft-ის წარმომადგენელი საქართველოდან ბატონი შოთა მურცხვალაძე.

კონფერენციის მიზანი მასწავლებელთა მიერ სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება, მოსწავლეთა მოტივირება, კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარება,ინოვატორ მასწავლებელთა ჯგუფებში ერთობლივად მუშაობის შედეგად ახალი სასწავლო რესურსების შექმნა, შემდგომი ურთიერთთანამშრომლობის და თავის მოსწავლეებთან საკლასო ოთახებში განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვა იყო.

კონფერენცია მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში და ამ დროის მანძილზე განხორციელდა უამრავი აქტივობა: შევხვდით Microsoft-ის ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს, მათ შორის Microsoft-ის ვიცე პრეზიდენტს, დავესწარით სესიებს Microsoft-ის ახალი რესურსებისა და მათ სწავლის პროცესში გამოყენების შესახებ. ჩატარდა ტრენინგები სწავლების სხვადასხვა მეთოდის, მათ შორის ტექნოლოგიებთან ინტეგრირებული, პროექტზე ორიენტირებული და თამაშზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენების შესახებ. ვიმუშავეთ ჯგუფებში პრობლემების ინოვაციურ გადაწყვეტაზე.

კონფერენციის მიმდინარეობისას მქონდა ბედნიერება გამეცნო უნგრეთის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ფილიპინების წარმომადგენელი ინოვატორი მასწავლებლები და მათთან ერთად მემუშავა ჯგუფში. ჩვენ ერთად განვსაზღვრეთ ჩვენ-ჩვენს კლასებში არსებული პრობლემები, დავსახეთ ამ პრობლემების გადაჭრის გზები, შევქმენით Microsoft Office Mix - ვიდეო, რომელიც აღწერდა პრობლემის ჩვენეულ ტექნოლოგიურ გადაჭრას- Hack -ს საკლასო ოთახში და ეს ვიდეო-მიქსი გავუზიარეთ კოლეგებს.

Microsoft კონფერენციის ფარგლებში საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობა იყო უაღრესად საინტერესო და ნაყოფიერი, დავმეგობრდით კიდეც და ერთობლივი პროექტების შემდგომში განხორციელებაც დავგეგმეთ.

კონფერენციის მესამე დღეს წარვადგინეთ ჩვენი პროექტები. მოეწყო საგანმანათლებლო პროექტების გრანდიოზული გამოფენა, ჩემი მიზანი იყო ჩვენი პროექტის ღირსეულად წარდგენა, მომზადებული მქონდა პროექტის შესახებ პოსტერი, ბროშურები, პროექტის სავიზიტო ბარათები ელექტრონული მისამართებით, მოსწავლეების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთები თუ ელექტრონული რესურსი, კომპიუტერის საშუალებით დამთვალიერებლებს ვაცნობდი Microsoft-ის პორტალზე გამოქვეყნებულ ჩვენს პროექტს, პროექტის ბლოგს, პროექტის PowerPoint და Sway პრეზენტაციებს, Office MIX ვიდეოს, ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწიე, ამას მოწმობდა ჩვენი პროექტით უამრავი დამთვალიერებლის, მათ შორის Microsoft-ის თანამშრომლების და ჟურნალისტების დაინტერესება, დღის ბოლოს, მიუხედავად დაღლილობისა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი.

კონფერენციის დახურვის საზეიმო ცერემონიალი ბუდაპეშტის ნაციონალურ გალერეაში გაიმართა, ეს იყო დაუვიწყარი ღონისძიება არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებებით.

ამ დღეების განმავლობაში დავათვალიერეთ ბუდაპეშტის ულამაზესი ხედები, მისი უძველესი ხიდი, მონასტრები, ციხეები, დავესწარით საორღანო მუსიკის კონცერტს, დავაგემოვნეთ უნგრული ნაციონალური კერძები, ვისეირნეთ ღამის ბუდაპეშტში დუნაის სანაპიროზე.

მინდა, რომ ბევრმა ქართველმა მასწავლებელმა მიიღოს ამგვარ საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობის ის გამოცდილება, სიამოვნება და სიხარული, რაც ჩვენ მივიღეთ და განვიცადეთ კონფერენციის მსვლელობისას, ამისათვის კი საჭიროა დარეგისტრირდეთ Microsoft-ის პორტალზე, ატვირთოთ თქვენს კლასებში განხორციელებული აქტივობები, პროექტები, გაკვეთილები და მზად იყოთ ყოველი ახალი გამოწვევისათვის.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვუსურვებთ ქალბატონ ნანას ამ წარმატებას და გვჯერა,მის პედაგოგიურ საქმიანობაში ასეთ წარმატებები კიდევ მრავლად იქნება.

გ. მაღრაძე

პრევენცია ცხვრის ყვავილის წინააღმდეგ

გასულ ნომერში,ყირიმ კონგოს მწვავე ვირუსულ დაავადების შესახებ ვწერდით, რომლის გავრცელების არეალი ჩვენი რაიონიც აღმოჩნდა. დღევანდელ ნომერში კი მწვავე ვირუსული დაავადების ცხვრისა და თხის ყვავილის შესახებ მოგაწვდით ინფორმაციას. განსხვავებით ყირიმ კონგოს ვირუსისაგან, ცხვრისა და თხისა ყვავილით ინფიცირების შემთხვევა ჩვენს რაიონში არ ყოფილა. ვირუსის პრევენციის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო არსებული და მოსალოდნელი რისკებიდან გამომდინარე, ატარებს ცხვრის და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაციას. ხაშურის რაიონში ცხვრის და თხის ყვავილის ვაქცინით აცრილია 550 სული პირუტყვი. დარჩენილი სულადობის აცრა კიდევ მიმდინარეობს. უფრო დეტალური ინფორმაციისათვის სურსათის უვნებლობის სააგენტოს შიდა ქართლის განყოფილების ინსპექტორს **ნინო თედიაშვილს** გავესაუბრეთ:

–ცხვრისა და თხის ყვავილი მწვავე ვირუსული ინფექციური დაავადებაა, რომელიც მოკლე პერიოდში ვრცელდება სწრაფად, ხასიათდება კანსა და ლორწოვან გარსებზე გამონაყარით. ავადდება ყველა ჯიშისა და ასაკის ცხვარი და თხა. სიკვდილიანობამ მოზარდ ცხოველებში შესაძლოა მიაღწიოს 50%-ს. ადამიანი ცხვრისა და თხის ყვავილით არ ავადდება, თუმცა, დაავადებას მოაქვს ძალიან დიდი ეკონომიური ზარალი. ყვავილის გავრცელების წყაროა ავადმყოფი და ვირუსმატარებელი ცხოველი ინკუბაციურ პერიოდში და კლინიკური გამოჯანმრთელების შემდეგ. ავადმყოფი ცხოველის ორგანიზმიდან ვირუსი გამოიყოფა ცხვირიდან და თვალიდან გამონადენებთან ერთად. ყვავილი განსაკუთრებით სწრაფად ვრცელდება ავადმყოფი და ჯანმრთელი ცხოველების ერთად ყოფნის დროს. დაავადების გავრცელებაში გარკვეულ როლს ასრულებენ მწერები, დაავადების გადაცემა აგრეთვე შესაძლებელია მოხდეს ვირუსით დასვრილი საკვებით, მოვლის საშუალებებით, ტყავით, მატყლით და სხვა. ინკუბაციური (ფარული) პერიოდი გრძელდება 8-13 დღე. ავადმყოფობა იწყება მოწყენილობით, ძლიერი ცხელებით (41-420 ჩ) ცხვირიდან და თვალიდან ლორწოვან-ჩირქოვანი გამონადენით. შესამჩნევია მადის დაქვეითება, გახშირებული სუნთქვა. დაავადებიდან რამოდენიმე დღეში კანზე ჩნდება გამონაყარი. დასაწყისში წარმოიქმნება წითელი ლაქები, ხოლო ორი დღის შემდეგ მათ ცენტრში ჩნდება კვანძები, რომელიც სწრაფად იზრდება და აღწევს დიამეტრით 12-15 მმ-ს. კვანძები განლაგებულია მთელს სხეულზე, განსაკუთრებით კანის უმატყლო ადგილებში და ცურზე. ყვავილი ჩნდება წლის ნებისმიერ დროს, განსაკუთრებით ინტენსიურად ცივ და ტენიან ამინდში. საეჭვო შემთხვევის დროს უნდა მოხდეს დაავადებაზე საეჭვო ცხოველეის იზოლაცია და ვეტერინარი ექიმის გამოძახება. დაავადების შემთხვევის დროს, ხდება ავდმყოფი ცხოველების გამოცალკავება მშრალ და თბილ სადგომებში და მათი უზრუნველყოფა ადვილად მოსანელებელი საკვებით. მკურნალობენ ქიმიოთერაპიული პრეპარატებით და ანტიბიოტიკებით მეორადი ინფექციების თავიდან აცილების მიზნით. ვირუსის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა რამდენიმე პროცედურის ძედმიწევნით დაცვა: მკვდარი ცხოველების გაუვნებლობა (ლეში დაწვა მატყლთან და ტყავთან ერთად), ფარეხების დეზინფექცია; ცხოველების ვაქცინაცია ითვლება ყველაზე ეფექტური კონტროლის ღონისძიებად, –აღნიშნა ქალბატონმა ნინომ ჩვენთან საუბარში.

თ. ახალკაცი

ქაშვეთი

1983 წლის 13 აგვისტოს მუზეუმში სახელდახელოდ შექმნილი მცირე ექსპედიცია მურად მთვარელიძის, მაყვალა ხაჩიძის, მანანა ხრიკაძის, მანანა ფცქიალაძისა და ჩემი შემადგენლობით ქაშვეთში გავემგზავრეთ. 60-70 იან წლებში არაერთხელ ვყოფილვარ აქ, მაგრამ ახლა სხვა მიზნითა და ინტერესით, თანაც წინასწარ მომზადებული გეგმით მივდივარ. კიდევ ერთხელ მინდა მოვინახულო ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია, მოვახდინო მისი ფოტოფიქსაცია და აღწერა, გავესაუბრო ადგილობრივებს, ჩავიწერო ტოპონიმები... (თუ, რა თქმა უნდა, შევხვდი ვინმეს).

აქაურები 60-იან წლებში ცხრამუხასა და ხაშურში გაასახლეს, სოფელი დაცარიელდა... ამიტომ აქ იშვიათად შეხვდებით მოსახლეობას. ეს მერე, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა მიწის რეფორმის განხორციელება დაიწყება, ხაშურელი და ცხრამუხელი ქაშვეთელები მასიურად დაუბრუნდებიან თავიანთ ადგილის დედას და სოფელიც ახმიანდება. ეს უფრო თვალშისაცემი ზაფხულის პერიოდში იქნება... მანამდე კი ერთი ათეული წელი უნდა გავიდეს...

ეს ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფლების–თაგვეთსა და კოდიწყაროს შორის მდებარეობს.

ცნობილია დამპალას სახელწოდებითაც, რასაც იმათ ხსნიან, რომ აქ ბევრი ჭაობიანი ადგილია.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ამ სოფელს არცერთი სახელწოდებით არ იცნობენ, არც ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება. XIX საუკუნის აღწერების თანახმად, ქაშვეთი ყოველგვარი სახელწოდების გარეშე თაგვეთის შემადგენლობაშია. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მისი დასახლებაც XIX ს-ის 50-იანი წლებიდან მომხდარა. ამ დროს არიან აქ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულები ცინაძეები (სოფ. ბანოჯადან), ბაქრაძე (სოფ. ვერტყვილიდან), ზვიადაძე (სოფ. ვერტყვილიდან,) გოგოლაძეები (სოფ. ბოკინევიდან), ციცქიშვილები (სოფ. ვაშლევიდან) და ა.შ.

1925 წელს ქაშვეთში 29 კომლი ცხოვრობდა. აქ სახლობდენ გვარები: გოგალაძე, ციცქიშვილი, გურული, ლომიძე, ხაჩიძე, ცინაძე, მუმლაძე. სოფლის სახელწოდება ნაწარმოებია –ეთ სუფიქსით. ფუძეა „ქაშ", ხოლო –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, –ეთ სადაურობის სახელთა სუფიქსია. ქაშვეთის მსგავსი სახელწოდების სოფელია მესტიის რაიონში (ლენჯერის საკრებულო), კახეთში-მაღრანისა და მატაანის მიდამოებში, სოფ. ბაბანეურში, გვხვდება ქსნის ხეობაში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქაშვეთის სახელწოდებით ცნობილი რამდენიმე ეკლესიაა საქართველოში - თბილისში, ხაშურის ქაშვეთში, სვანეთში და სხვაგან.

ირკვევა, რომ ბორჯომის რაიონის სოფელ სადგერის მეორე სახელი ქაშვეთია. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში პეტრე ლივაში წარმოდგენილია ქაშვეთის ნაჰიეი. აკად. ს. ჯიქია მიუთითებს, სადგერის მეორე სახელწოდებაზე - ქაშვეთზე და წერს, რომ გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის „... II წიგნის დაბეჭდვის დროს (1941 წ.) ამ სოფლის პირველი სახელი ამოუკითხავი მქონდა, ხოლო მეორე სახელი კითხვითი ნიშნით იყო დაბეჭდილი... ამ ნაჰის აღწერისას ცამეტჯერ გვხვდება და, ვფიქრობ, ეჭვმიუტანლად შეიძლება მისი წაკითხვა ქაშვეთ-ად. ეს ქაშვეთი ამავე დროს მეორე სახელია ამ ნაჰი ეში პირველ სოფლად აღწერილი სადგერ პუნქტისა, რომელიც ნაჰი ეს ადმინისტრაციული ცენტრი უნდა ყოფილიყო. რომ სადგერს მეორე სახელად ქაშვეთი ეწოდებოდა,

ს. ჯიქია იმოწმებს დ. ბაქრაძეს, რომლის მიხედვითაც „... წმ. გიორგის ეკლესია ბევრი იყო საქართველოში, და, ალბათ, იმ ადგილებს, სადაც წმ. გიორგის სახელობის ეკლესია იყო, ხშირად ქაშვეთი ეწოდებოდა". მკვლევარი მაგალითისათვის იმოწმებს სვანეთში სოფ. ქაშოეთს და აქ არსებული წმ. გიორგის ეკლესიის, თბილისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, რომელიც ქაშვეთის სახელითაა ცნობილი: „და აწ აღაშენა საფუძვლით ეკლესია დიდი, კეთილქმნული და შვენიერი წმიდის გიორგისა, ქაშოეთად წოდებული, ამილახორმან გივთამან..." „ამრიგად - ასკვნის მკვლევარი,- სადგერი ამ პუნქტის ძველი სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო ქაშვეთი მეორე სახელად მას უნდა შერქმეოდა ამ სოფლში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის აშენების შემდეგ". (ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბ, 1958, გვ, 459-490).

საინტერესო დაკვირვება შემოგვთავაზა ტოპონიმ „ქაშუეთზე", გიორგი ლეონიძემ. გთავაზობთ პოეტის ამ დაკვირვებას: „ხალხური ლეგენდით, სიტყვა „ქაშუეთი" წარმოსდგა იქიდან, რომ სწორედ იმ ადგილას, სადაც დღეს ქაშუეთის ტაძარია თბილისში, დავით გარეჯელმა დასწყევლა ცილის-მწამებელი მეძავი ორსული ქალი და ვითომ ამის გამო ქვა აშობინა, „ქვა-შვა", აქედან „ქაშვეთი", „ქაშუეთი".

მაგრამ საბას განმარტებით „ქაშუეთი" – „ხორცის დარღვევაა წყლულებით". უნდა ვიფიქროთ, რომ ქაშუეთის ადგილას, უძველეს ხანებში, კეთროვანთა და განრღვეულთა თავშესაფარი იყო. ცნობილია, აზიის ძველ ქალაქებში, კეთროვანთათვის მიკუთვნებული ადგილი ყოველთვის ქალაქის გარეთ იმყოფებოდა. ეტყობა, იმ საუკუნეებში, როცა იწერებოდა დავით გარეჯელის ცხოვრება, ქაშუეთი ქალაქის გარე-ფარგლებში მდებარეობდა. მაგალითად, 1540 წელს, სიონის სიგელში მოხსენებულია „ქაშუეთთან მკვიდრი საყდრის მიწა სავენახე" (ქრონიკები II, 239). რაკი მაშინ ქაშუეთთან ვენახები ყოფილა, ცხადია, იგი ქალაქ-გარეთ ზონაში მდებარეობდა.

თვით მე-18 საუკუნეშიც (1723 წ.) „ქაშუეთი" ისევ ქალაქის „გარეთუბანში" შედიოდა: „წარვიდა მეფე ვახტანგ (VI), გამოიარეს ქალაქგარე, ჩამოხდა ქაშუეთს, შემოეყარნენ მოქალაქენი და დაუწყეს წვევა ქალაქსა შიგან" (ქ. ც-ა, ჭიჭინაძის გამოც. 36).

„ქაშუეთი", „ქაშოვეთი", როგორც ავადმყოფობა, მოხსენებულია ძველ სამკურნალო წიგნში - „წიგნი სააქიმოი". „ქაშოეთი" ნახსენებია იმ ათ სენთა შორის, რომელნიც ადამიანს ჩამომავლობით სჭირს: „რომე გვარისაგან წაეკიდოს", რომელსაც „არასთვის არ ეშველების" (გვ. 29-30).

„იცოდე თუ ნაზლა სჭირდეს და ანუ თავქედი და ვარამი და ყუავილი და ავის ჟამსა ნიშანი და ქაშოვეთისა ნიშანი რომე სჭირდეს" (გვ. 5), „თუ ტვინშიგან ჩავიდეს, ქაშოეთისა წაეკიდოს" (გვ. 38).

ლექსიკონის შემდგენელის ი. აბულაძის განმარტებით, „ქაშოეთი", ქაშოვეთი", „ქაშოეთი" - კეთრი, მეტად ავი სნებაა, ავთვისებიანი, ანუ უკურნებელი ს ნია. ესაა იგივე ჯუზამი ანუ „ქაშოეთელა", „ქაშოეთი". ლექსიკონში აღნიშნულია: „1. კეთრი, ავი და უკურნებელი სენი. 2. ტვინის მემკვიდრეობითი დავადება; ქაშოეთის სალოკი - გულის ავადმყოფობა" (გვ. 250).

თბილისის „ქაშუეთი", წმ. გიორგის სახელზეა აშენებული, ხოლო წმ. გიორგის საქართველოში ოდესღაც სთვლიდნენ ავზნიანების, დახუთულობისა და სულით ავადმყოფების მკურნალად. ამიტომ ამგვარ ავადმყოფებს ალოცებდნენ წმ. გიორგის მთავარ ხატებში და წმ. გიორგის შესთხოვდნენ მათ განკურნებას (ს. მაკალათია, ჯუგე-მისერონის კულტი ძველ საქართველოში, გვ.37).

„ქაშოეთი" დაკავშირებულია მითრას კულტთან: ასევე მიმართავდნენ მითრას მისი მორწმუნენი და ევედრებოდნენ მას კეთროვანებისა და ავი სულით შეპყრობილების განკურნებას (იქვე).

„ქაშოეთი", როგორც წმ. გიორგის სალოცავი, მოხსენებულია აგრეთვე ქსნის ხეობაში; „ქაშოეთის" მთავარი მოწამე" XII-XIII საუკუნეებში მოხსენებულია აგრეთვე ფავნისის სანახებში.

ადგილი „ქაშუეთი" - ჩემთვის ცნობილია აგრეთვე გაღმა-კახეთში, მაღრანსა და მატანის მიდამოებში.

„ქაშუეთის" ეკლესია არის აგრეთვე გაღმა-კახეთში სოფ. ბაბანეურში. სიდიდით საშუალოა, ვაკეზეა აშენებული, მკვრივი და გამძლე შენობაა. ხოლო სოფელი „ქაშუეთი" ხაშურის რაიონშია"(ლიტერატურული გაზეთი",1957,№4)

ზემოთ ითქვა, რომ ქაშვეთს დამპალასაც ეძახიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქაშვეთის შინაარსიდან გამომდინარე, გადატანითი მნიშვნელობით ხომ არ შეერქვა ეს სახელი სოფელს. საბას მიხედვით ქაშუეთი ხომ „ხორცის დარღვევაა წყლულებით." იქნებ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილის „დარღვევა" ჭაობით ასოცირდება ხორცის (ამ შემთხვევაში მიწის) წყლულებით (ამ შემთხვევაში ჭაობით) დარღვევასთან?

ხაშურის ქაშვეთშიც, როგორც აღნიშნული იყო, წმ. გიორგის სახელზეა აგებული ეკლესია. იგი XIX საუკუნის 90-იან წლებშია აშენებული.

ეკლესია შემაღლებულ გორაზეა აგებული, მის ირგვლივ სასაფლაოა. ეკლესიას ორი თანადროული წარწერა აქვს, რომელიც გვამცნობს მის ამშენებლებს (კირითხუროებს) და შემომწირველს.

სამხრეთის კარის თავზე გაკეთებულია წარწერა: „ეს ეკლესია აშენა სურამში მცხოვრე(ბ) ზაქარია მიტრო სინო ჯობაძემა".

დასავლეთის კარის თავზე გაკეთებულ წარწრაში ვკითხულობთ:

1. პ)ეტ(რ)ე (შიოს ძე) ა(ბ)აბიაძის
2. ქვრივმა აღათიამ შევსწირე
3. ამა ეკლესიის აღშენებაში მოსახ
4. შენებლათ ჩუმდა ქმრისა ჩემისა
5. ხუთი თუმანი. მონაწილე ვა(რ)

წარწერაში მოხსენებული პეტრე შიოს ძე აბაიაძე ხაშურის წმ. მარინეს ეკლესიაში იყო დაკრძალული. შემორჩენილი იყო მისი საფლავის ქვა ექვს- სტრიქონიანი წარწერით. რა თქმა უნდა, წარწერა საგრძნობლად დაზიანებული იყო, გარდაცვალების თარიღად 1887 (?) წელი იკითხებოდა.

„ამა ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ პეტრე შიოს ძე აბაიაძე, უძეოდ გადაგდებული და(მ)რჩა ცოლი რომელიც მომიძღვინლოდი ესე წამკითხველთაგან შენდობას ვითხოვ, გარდავიცვალე თებერვალი 188(7) ? (დ)აბადებიდან 6 (...) წლის".

1886 წლის საოჯახო სიების მიხედვით ხაშურში დაფიქსირებულია პეტრე შიოს ძე აბაიაძე, რომელიც ამ დროს 65 წლისაა. მასთან ერთად დაფიქსირებულია მისი მეუღლე აღათია გაბრიელის ასული (33 წლის). აღწერის მიხედვით მას ჰყავს ძმები და ძმისშვილები, რომლებიც მასთან ცხოვრობენ. რაც შეეხება თავად პეტრეს, მას შვილები არ ჰყავს.

საფლავის ქვის წარწერასა და საოჯახო სიებს შორის, როგორც ვხედავთ, ბევრი საერთო ინფორმაცია იკითხება. პეტრე აბაიაძე 1890 წლამდე უნდა გარდაცვლილიყო, რადგან საფლავის ქვაზე წლოვანების აღმნიშვნელი პირველ ციფრში 6 ფიგურირებს, კარგად იკითხება გარდაცვალების სამი ციფრიც – 188.

რადგან ქაშვეთის წარწერაში მისი მეუღლე აღათია ქვრივად არის მოხსენიებული, ეს საშუალებას იძლევა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია დავათარიღოთ XIX ს - ის 90 –იანი წლებით.

ადრეც და ახლაც ეკლესიის შიგნით, სამხრეთის კედელზე, შესასვლელის მარცხენა მხარეს ორი გვირგვინი იყო ჩამოკიდებული. გვირგვინები თხელი ლითონის ფურცლებით იყო დამზადებული, საღებავები ყვავილებსა და ფოთლებს კარგად შერჩენოდა. დიდი ინტერესის მიუხედავად, სამწუხაროდ, მაშინ ვერ გავარკვიეთ, როგორ მოხვდა ეს გვირგვინები ეკლესიაში, ან ვის ეკუთვნოდა.

მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, ცნობილმა პედაგოგმა მიხეილ ციცქიშვილმა (წარმოშობით კოდიწყაროდან იყო) მითხრა, რომ ეს გვირგვინები 1918-1919 წლების სომხეთ – საქართველოს შორის ომის დროს დაღუპული კოდიწყაროელი ჯარისკაცების (წითელგვარდიელების) დაკრძალვაზე იყო მოტანილი.

ისინი 1918 წლის 26 დეკემბერს დაიღუპნენ სხვა ხაშურელ გვარდიელებთან ერთად ქვემო ქართლში, ჩამოასვენეს ხაშურში და თავიანთ სოფლებში დაიკრძალნენ. ხაშურლები გორათზე დაკრძალეს, კოდიწყაროელები კი ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის შემოგარენში. სამწუხაროდ დღეს მათი საფლავები დაკარგულია, დარჩა გვირგვინები, რომლებიც დღესაც ეკლესიაში ინახება.

ეკლესიაში, განჯინაში ძველი საეკლესიო წიგნები ვნახეთ მაშინ, გადავწყვიტეთ მათი მუზეუმში გადმოტანა (რა თქმა უნდა, სათანადო წესების დაცვით). წიგნების ერთი ნაწილი შელახული იყო, დაფურცლული, თაგვის ნაჭამი... მათი გადარჩენა გვინდოდა. ასე მაშინ არაერთი ეკლესიიდან წამოღებული წიგნები გადავარჩინეთ განადგურებას. სხვანაირი დრო იყო და საეკლესიო სიწმინდეებს უფრო უდიერად ეპყრობოდნენ, ვიდრე იცავდნენ... სხვა მრავალ წიგნთაგან ასე გადავარჩინეთ ვახტანგ VI-ის სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილი სახარება... როცა ხაშურში დავბრუნდით, ცხრამუხის სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობას შევუთანხმდით, რომ ქაშვეთის მიტოვებული ეკლესიიდან წიგნები მუზეუმში გამოგვეტანა...

წამოსაღებად ასულს აღარცერთი წიგნი დამხვდა, მხოლოდ ცალკეული ფურცლებიღა ელაგა განჯინაში...

დავაგვიანე, როცა გავიხსენებ ამ ფაქტს ყოველთვის სინანული მეუფლება. იქნებ აქაც გვენახა ვახტანგის სტამბიდან გამოსული სახარება თუ სხვა წიგნი.

პ.ს. ეს ის პერიოდია როცა საზღვარგარეთ (მგონი შვეიცარიაში) აღმოაჩინეს საქართველოდან გატანილი ძველი ხატი და ამაზე არაერთი პუბლიკაცია გამოქვეყნდა იმდროინდელ პრესაში... ამ პუბლიკაციების შემდეგ მოვინდომე ხაშურის რაიონში მიტოვებული ეკლესიებიდან (ორადორი ეკლესია იყო მოქმედი მაშინ – ხაშურის იოანე ნათლისმცემლის და სურამის ღვთაების, ხანდახან იტრიაშიც აღევლინებოდა წირვა – ლოცვა) მუზეუმში გადმომეტანა შემორჩენილი ხატები ეს ხატები სიძველით მაინცდამაინც არ იქცევდა ყურადღებას. ძველი ხატები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გაიტანეს ეკლესიებიდან და იმჟამად მხოლოდ XIX საუკუნის ხატებიღა იყო შემორჩენილი. შემოვიარე რაიონის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ეკლესია, სადაც თავის დროზე ნანახი მქონდა ეს ხატები, მაგრამ უშედეგოდ, ეს ხატებიც ვიღაცის მსახვრალ ხელს გაეზიდა ეკლესიებიდან.

თამაზ ლაცაბიძე

ვინ ვრის ვინ

სახელმწიფოებრიობა უხსოვარი დროიდან ვითარდება. ეს პროცესი გრძელდება დღემდე და გაგრძელდება მომავალშიც, მაგრამ როგორც მთა და ბარი არ გასწორდება, ისე ვერ გათანაბრდება ადამიანთა მოდგმის აზროვნება და ცხოვრების პირობები.

არ ვიცი, პირველად სად ან როდის წარმოიშვა სიტყვა კონსტიტუცია, რომელიც გახდა ცხოვრების მარეგულირებელ კანონთა მეფე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მსოფლიოში არსებულ განსხვავებულ ქვეყნებს განსხვავებული კონსტიტუციები გააჩნიათ, თუმცა, ადამიანის აგებულება ერთმანეთისგან, გარდა ფერისა, არაფრით განსხვავდება.

არიან ქვეყნები, სადაც კონსტიტუცია საერთოდ არ არსებობს, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო რეგულირებულია.

კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, არეგულირებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს, სახელმწიფო ორგანოების წარმოქმნისა და მისი მოღვაწეობის საკითხებს, მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში 1921 წლის 21 თებერვალს, დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომლის პირველ მუხლში წერია, რომ „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო“.

ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, ვერც დამოუკიდებელმა საქართველომ და ვერც მისმა კონსტიტუციამ დიდხანს ვერ იარსება.

ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეთა ბედს შემდგომში განაგებდა სსრ კავშირის 1924, 1936 და 1977 წლებში მიღებული კონსტიტუციები.

კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ყოველთვის წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ საკითხს, რის გამოც ისინი ყოველთვის გამოჰქონდათ მოსახლეობის მიერ ფართო განხილვისთვის.

მიმდინარე ეტაპზე, ჩვენ მოწმენი ვართ საქართველოს კონსტიტუციაში შესატანად ოჯახის ცნებისა და დასაქორწინებელ სუბიექტთა განსაზღვრის ფორმულირების შესაძლებლობით გამოწვეული ვნებათაღელვისა.

მებადება კითხვა: ცხოველთა სამყაროშიც კი არ ხდება მამრობითი არსებების მამრობითებთან და მდედრობითისა და მდედრობითთან შეჯვარება და საიდან წარმოიშვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დიად და უსირცხვილოდ ქადაგებენ, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაუკანონებლობა თურმე წინააღმდეგობაში მოდის ადამიანთა პირადი უფლებების უზრუნველყოფასთან.

ავიღე ისეთი ქვეყნის კონსტიტუცია, როგორიც დღეს ბევრისთვის სანატრელია, ბევრისთვის კი ავადმოსაგონარი და კიდევ ერთჯერ სიღრმისეულად გადავიკითხე იგი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 53-ე მუხლში წერია: „ოჯახს სახელმწიფო იცავს. ქორწინებას საფუძვლად უდევს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი თანხმობა; მეუღლეები მთლიანად თანასწორნი არიან ოჯახურ ურთიერთობაში“.

თუ ვინმეს სსრ კავშირის სიძულვილის გამო არაფერი მაშინდელი ადამიანური არ უნდა გაიზიაროს, ძალიან ცდება და მას მკურნალობა ესაჭიროება. თუ მკურნალობაზერ უარს იტყვის, საკუთარი ბიჭი შეაუღლოს ბიჭთან და გოგო-გოგოსთან. მერე ვნახავთ რა ბედნიერი იქნება იგი საკუთარი შთამომავლობის სიმრავლით.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ის, რაც ქართველი ადამიანისთვის გაფიქრებაც კი ცოდვად და სირცხვილად ითვლებოდა, დღეისათვის სახალხო მსჯელობის საგნად აქციეს. აქედან გამომდინარე, მებადება კითხვები;

1. ნუთუ რუსი ეგზარქოსის წყევლამ გაჭრა ისე, რომ ერი დეგრადაციის გზაზე დამდგარიყო> ან ვინ დაგვწყევლა ასე?
2. ვინ ან როდის გვისურვა, რომ ერი უმსგავსო სიყვარულით გადაშენებულიყო, მაშინ როცა სიყვარული ახალი სიცოცხლის დასაბამია.
3. ხომ არ იწყება ცივილიზაციის დასასრული გადაგვარებულთა მოძლიერებული პარპაშით?
4. ვინ ან როდის გამოაცხადა XXI საუკუნე გარყვნილების საუკუნედ, როცა თურმე მრუშობა კი არა, ქალიშვილად თავის შენახვა ყოფილა დასაცინი და სასირცხვილო.
5. გაუკუღმართებულ სქესობრივ კავშირს გამონაკლისის სახით ყოველთვის ჰქონდა ადგილი ცნობილ პიროვნებათა მხრიდანაც კი, მაგრამ თუ იგი ადრე დაფარულად ხდებოდა და დაცვას არავინ ითხოვდა, რატომ უნდა შეუწყოს სახელმწიფომ ხელი თავაშვებულობას, რომელსაც შეუძლია მოზარდ თაობას უბიძგოს დეგრადირებისკენ?
6. რომელ ქვეყანაში აზის უმცირესობა უმრავლესობას თავზე ისე, რომ თუ მათ უზნეობას არ დაიცავენ, პრობლემების შექმნით ემუქრებოდეს?
7. ნუთუ უმსგავსოების მედროშეებს ახლობლობაში ან მეზობლობაში არავინ გააჩნიათ ისეთი, რომ მათ ზნეობისა და მორალის არსი შეაგრძნობინოს და აშკარად უდირსი საქციელიდან კეთილშობილურისაკენ მოუწოდოს?
8. ნუთუ არავის ედარდება იმ ბავშვის ბედი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს ერთსქესიან დაქორწინებულთა აღსაზრდელი. მის პირად დოკუმენტში ორი მამაკაციდან, რომელი იქნება მამა და რომელი დედა, ან დაწყვილებული ქალიდან რომელი იქნება დედა და რომელი მამა? რა ქნას ბავშვმა, როცა ორი მამა ჰყავს და არცერთი – დედა ან ორი დედა და არცერთი – მამა? ვის გვარზე უნდა დაიწეროს იგი და თუ ზარზეიმით დაწყებული ქორწინება შეწყვილებულთა განშორებით დამთავრდება, ვის უნდა მიაკუთვნოს სასამართლომ ბავშვი? უპირატესობა ხომ დედას ეკუთვნის? თუ დადგება შეწყვილებულთაგან ორივესთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის საკითხი, ექნება თუ არა ბავშვს უფლება არ მიიღოს არცერთის გვარი? დაბოლოს, როცა ისეთთაგან შვილად აყვანილი ბავშვი უჩვეულო გარემოცვაში გაიზრდება, ვინმემ გაითვალისწინა თუ არა მისი ფსიქოლოგიური განვითარებისა და ჩამოყალიბების შესაძლო მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი შედეგები?
9. აქ მოყვანილი ზოგიერთი საკითხი მეუღლეთა შეთანხმებით უნდა გადაწყდეს, მაგრამ რა მეუღლე, რის მეუღლე? ჯერ ხომ დაქორწინებულ ერთსქესიანთაგან ერთად მსოფლიოში არავინ დაბერებულა და რატომ უნდა შევწიროთ უცოდველი ბავშვის მომავალი ცოდვიანების ხორციელ, ცხოველურ, თანაც მოკლე დროით გატაცებას? როგორ შეიძლება, მხარში დავუდგეთ ავხორცობას და არ დავიცვათ ბავშვის ინტერესები? განა შეიძლება, ბავშვის დღევანდელი მდგომარეობით განვსაზღვროთ მისი მომავალი? ის რომ გაიზრდება, არ იკითხავს თუ რა ხდებოდა მისი ბავშვობის დროს ისეთი, რამაც განსხვავებული ბედი და განსხვავებულ გარემოში აღზრდა არგუნა მას? სკოლაში, მშობელთა კრებაზე დასწრებისას, ხომ კითხავენ ბავშვს ეს ადამიანი შენი დედაა თუ მამა? ან რა რეაქცია ექნებათ ბავშვებს ასეთ შემთხვევებში?

როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში ბევრ ჭკუაგამრუდებული გაიტაცა დემოკრატობანამ. სახელმწიფო დასუსტებულ-დასნეულებულ ადამიანს დაემსგავსა, რომელსაც წამალი ჭირდება და არა საწამლავი. არაჯანსაღი ყოფაცხოვრების წესის დანერგვა ან მისდამი ხელშეუხებლობა დანაშაულის ტოლფასია, ეს იგივეა, რომ ხეს ყვავილები გააშორო და ნაყოფის მიღებას კი ქადაგებდე.

დემოკრატიის ერთ-ერთი პრინციპი უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი უმცირესობის დამორჩილებაშიც გამოიხატება. მაგრამ თუ უმცირესობა ჯიუტობს და საღად აზროვნების უნარი დაკარგა, მაშინ სახელმწიფომ ისეთი მექანიზმი უნდა შეიმუშაოს, როცა არც კონსტიტუცია დაირღვევა და არც საზოგადოების ჯანსაღ ყოფაცხოვრებას დაემუქრება საშიშროება.

არცთუ ისე შორეულ წარსულში, საქართველოში კონსტიტუცია არ არსებობდა, მაგრამ ქალი და კაცი ერთმანეთისგან განირჩეოდა, ოჯახურ ცხოვრებას ტრადიციები არეგულირებდა, ნოტარიუსის ფუნქციებს ულვაშის ღერი ასრულებდა, ცოლ-ქმარი ღვთის წინაშე ჯვრისწერის დროს ერთიმეორის ერთგულების ფიცს სდებდა და მას არ ჭირდებოდა მოწმეების ქაღალდებზე ხელისმომწერები.

ისმის კითხვა:

1. ვის ჭირდება ისეთი დემოკრატია, რომელიც დეგრადირებულ მოქალაქეებს იძლევა?
2. რატომ არ არის საჭირო მოწმეთა ხელმოწერები ცოლ-ქმრის განშორების დროს? ამ შემთხვევაში ხომ მათ შორის უფრო მეტი უფლება-მოვალეობანი და ქონებრივი საკითხებია მოსაგვარებელი, ვიდრე მაშინ, როცა მათ არც შვილები და არც საკუთარი შენაძენი გააჩნდათ?
3. მოქალაქეთა უფლებების შეუზღუდავი, ვითომ დემოკრატიული პრინციპების განხორციელების შემთხვევაში, როცა საფრთხე ექმნება მოქალაქეთა და განსაკუთრებით მოზარდი თაობის ჯანსაღ ყოფაცხოვრებას, არსებობს თუ არა თეორიული შანსი ოფიციალურად ჩამოყალიბდეს და დარეგისტრირდეს პედარასტების პარტია, რომელიც არჩევნებში მონაწილეობასაც მოითხოვს, სადაც თანამოაზრენიც (და შეიძლება თანამოსაქმენიც) ეგულებათ?

წყალს წაუღია ისეთი ამომრჩეველიც და ამორჩეულიც, რომლისთვისაც ოჯახი წარმოადგენს არა ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი თანხმობით ურთიერთობას, არამედ ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას, ე.ი. მეუღლედ კაცს შეიძლება ჰყავდეს კაცი და ქალს–ქალი, კიდევ კარგი, რომ არ ითხოვენ მეუღლედ ცხოველის დარეგისტრირებას. პერსპექტივაში ესეც მოსალოდნელია.

საქართველოს პარლამენტში ისევ გამწვავდა ოჯახისა და ქორწინების არსის ცნების განსაზღვრის საკითხი, რომ კონსტიტუციური ცვლილებებისთვის შესაძლებელია უმრავლესობამ საჭირო რაოდენობის ხმები ვერ მოიპოვოს და ლამის რეფერენდუმის ჩატარების შესახებ დაისვას საკითხი. აი, სადამდე მიგვიყვანა სხვისადმი მიმბაძველობამ და მათზე გადასწრების სურვილმა.

ვსარგებლობ რა ჩემი კონსტიტუციური უფლებით, საქვეყნოდ ვაცხადებ:

1. არავითარი რეფერენდუმი და ზედმეტი ხარჯები!
2. არსებული წესის თანახმად, პარლამენტმა განიხილოს აღნიშნული საკითხი და გამოაქვეყნოს სახელობითი სია კენჭისყრის შედეგების შესახებ, რაც აშკარად დაგვანახვებს ვინ არის ვინ და მოახლოებულ არჩევნებზე ხალხი გადაწყვეტს ერის ღირსების დამცველებს მისცეს ხმა თუ მის ძირგამომთხრელებს.

რევაზ გრიგალაშვილი

– თემის გაგრძელება –
ავადმყოფს მკურნალობა სჭირდება

დიდი ხანია ხმამაღლა თქმა მინდოდა და აგერ, ერთმა ინფორმაციამ მომცა კიდეც საშუალება, ეს განმეცხადებინა. ჯერ თავიდან მივყვეთ: ჩემი „მდიდარი” (პრეზიდენტის ცნობილი გამოსვლის შემდეგ ძალიან მოდური გახდა ეს სიტყვა) ცხოვრების მანძილზე, ძალიან ბევრი მინახავს „მანია გრანდა”-თი დაავადებული ადამიანები, რომლებიც თავის თავს „კლავდნენ” და მათ წარმოსახვაში სრულიად სხვა პიროვნებებად გვევლინებოდნენ.

რაღა შორს წავიდეთ, სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სხვადასხვა წლებში მკურნალობდნენ სტალინი, სტალინის შვილი, კენედი, ალექსანდრე მაკედონელი, მოლოტოვი და სხვაც ბევრი... ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სწორედ ზემოჩამოთვლილი პიროვნებები იყვნენ და, ფაქტობრივად, არც არსებობდა არგუმენტი, რომ მათთვის ეს გადაეთქმევინათ. იყვნენ და მორჩა! ისინი არც საზოგადოებას აწვალებდნენ, არც ქვეყანას და არც სამშობლოს. იტყოდნენ, ვართ ეს, მოჰკიდებდნენ ხელს და ჰერი ფსიქიატრიულისკენ! ახლა კი ვეღარ გავიგე, რა ხდება?! მოდის მავანი და მავანი მამაკაცი და მთელი ქვეყნის გასაგონად ამბობს რომ ქალია. დედა, ქალი ყოფილა და აბა, მისი უფლებები არ დაირღვესო და დაფოფინებენ თავზე ათასი რჯულის არასამთავრობო თუ სხა მსგავსი ახუნტრუცებული ჯეელები. ახლა მე თქვენ გეკითხებით: რამე დიდი განსხვავებაა, დაავადების მხრივ, მავანი რომ იტყვის იულიუს კეისარი ვარ და კაცი რომ იტყვის ქალი ვარო, მათ შორის? მომკალით და ერთი კიტრი მგონია. აგერ ჩემი დასკვნის ოფიციალური დიაგნოზიც: ევროკავშირის ფუნდამენტალურ უფლებათა სააგენტოს დირექტორმა მაიკლ ო’ფლაჰერტიმ გამოაქვეყნა სააგენტოს ანგარიში, სადაც შავით თეთრზე წერია: ევროკავშირის ქვეყნების ექიმების დიდი რაოდენობა მიიჩნევს რომ ჰომოსექსუალიზმი დაავადება, ხოლო ტრანსსექსუალიზმი მენტალური აშლილობაა. ჰოდა, ამ მენტალური აშლილობის მქონე ხალხმა რომ ნერვები აღარ აგვაშლევინონ, მოვკიდოთ ხელი და ვუმკურნალოთ სადაც საჭიროა. ჩვენც დავისვენებთ, ისინიც და ტრიფონიც ისე ჩაიყვანს მატარებელს ელიტოპოლში, ნერვიც აღარ აუტოკდება.

P.S შენ გაიხარე, მაიკლ ო’ფლაჰერტ, რომ ამდენი ხნის ჩასუნთქული ერთად ამომასუნთქე!

გ. გოგოლაძე

"ჩექმებიანი კატა" ბავშვებს მასპინძლობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის თოჯინების თეატრში,შარლ პეროს ნაწარმოების მიხედვით დადგმული სპექტაკლის- „ჩექმებიანი კატას“ ჩვენებები მიმდინარეობს. სპექტაკლმა უკვე უმასპინძლა სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს, ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარებს. წარმოდგენები,კიდევ,რამდენიმე დღე გაგრძელდება. „ისევე როგორც ყველა ზღაპარი,ესეც სიკეთეზე და ბოროტებაზეა და ბოლოს,რა თქმა უნდა,სიკეთე იმარჯვებს. სასურველია, სპექტაკლი ყველა ხაშურელმა და არამარტო-ხაშურელმა ბავშვმა ნახოს.“-აღნიშნა სპექტაკლის რეჟისორმა-ლალი კახეთელიძემ.

კალიგრაფიის კონკურსი საბავშვო ბიბლიოთეკაში

ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკაში დასრულდა კალიგრაფიის კონკურსი, რომელიც მოსწავლეებს შორის მიმდინარეობდა. მიზანი, ქართული დამწერლობის უნიკალურობის დაცვა და მომავალი თაობისთვის შეყვარებაა. მონაწილეებს მათი ასაკისთვის გათვალისწინებული ტექსტის(ლექსის) გადაწერა ევალებათ, რომლის შეფასებაც მოგვიანებით, მასწავლებლების მიერ ხდება. ისინი გამოავლენენ გამარჯვებულ მონაწილეებს.

მანანა აღაჯანოვი (საბავშვო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარი): –10 წლის წინ გაჩნდა იდეა კალიგრაფიის კონკურსის ჩატარების, რომლის განხორციელება ხაშურის საბავშვო ბიბლიოთეკაში მოხდა. თავიდანვე იმდენად დიდი იყო დაინტერესება და აქტიურობა, უკვე ტრადიციად დამკვიდრდა. ყოველ გაზაფხულზე, I კლასიდან IV კლასის ჩათვლით, ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია მონაწილეობის მიღება. კეთდება განაცხადები სკოლებში. შარშან ყველაზე დიდი აქტივობა დაფიქსირდა, დაახლოებით 500 ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. წელს 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კონკურსი, განსაკუთრებული აქტიურობით პირველი დღე გამოირჩეოდა, როდესაც 124-მა პირველკლასელმა მიიღო მონაწილეობა, მეორე დღეს 46-მა, ხოლო მესამე დღეს 63-მა, სულ 276-მა ბავშვმა. აპრილის ბოლოსთვის შედეგები უკვე ცნობილი იქნება. გამოვლინდება I, II, III ადგილის მფლობელები, რომლებსაც სიგელები გადაეცემათ.

გიორგი კვინიკაძე - ჭიდაობის მსოფლიო ფედერაციის ექსპერტი გახდა

გიორგი კვინიკაძეზე, მის აღზრდილებზე და მათ მოპოვებულ გამარჯვებებზე იმდენჯერ დაგვიწერია,რომ შეუძლებელია,ჩვენს ქალაქში მას ვინმე არ იცნობდეს. იმის გარდა,რომ შესანიშნავი და უმაღლესი კლასის მწვრთნელია, ბრწყინვალე პიროვნებაცაა,ნამდვილი რაინდული ბუნებით,ჭეშმარიტი ქართული ხასიათით და ამაღლებული პატრიოტიზმით. დღეს ჩვენს რაიონში თავისუფალი ჭიდაობის ხსენებისას უმალ იგი და მისი ოჯახი წარმოგვიდგება თვალწინ. არცაა გასაკვირი. იმ გზას, რომელიც მამამისმა, ასევე შესანიშნავმა პიროვნებამ ვახტანგ კვინიკაძემ დაიწყო, დღეს გიოგიც აგრძელებს და როგორ აგრძელებს მისი შეგირდების ტრიუმფებიდან ჩანს, ევროპის თუ მსოფლიო ჩემპიონატებიდან მედლებით დახუნძლულები, რომ გვიბრუნდებიან. და აგერ,სულ ახლახანს,გიორგის კიდევ ერთი აღიარება უკვე საერთაშორისო დონეზე – მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციამ იგი ექსპერტად დაამტკიცა. ყველაფერი კი ორი წლის წინ დაიწყო, როდესაც ბორჯომში პირველი დონის ტრენინგები ჩატარდა. მასში ჩვენი ქვეყნის 30 მწვრთნელი იღებდა მონაწილეობას და მისი მიზანი მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლება იყო. მსგავსი შეკრება 2015 წელსაც გაგრძელდა. ეს ტრენინგები დატვირთული იყო თეორიული თუ პრაქტიკული აქტივობებით, რის შემდეგ მონაწილეებს საერთაშორისო დონის სერთიფიკატები გადაეცათ. წელს უკვე მესამე ეტაპი განხორციელდა და მისი მიზანი ექსპერტ-ტრენერების შერჩევა გახლდათ. გიორგი ამჯერად ყაზახეთში, ქალაქ ასტანაში იყო მიწვეული, (სხვათაშორის, მისი გამგზავრების ხარჯები მაჟორიტარმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააფინანსა), სადაც ერთკვირიანი შეკრების, გარკვეული ტესტირებების შემდეგ მას მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის ექსპერტ-ტრენერის კვალიფიკაცია მიანიჭეს. ამიერიდან მას უფლება აქვს გადაამზადოს პირველი დონის მწვრთნელები, შეაფასოს მათი მუშაობა და გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება. გიორგი ძირითადად ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნების წარმომადგენლებთან, რუსულენოვან ჯგუფებთან იმუშავებს. პირველი მისი ვიზიტი უკვე აპრილში შედგება და გიორგი უზბეკეთში (ტაშკენტი) გაემგზავრება,სადაც იქაურ მწვრთნელებს ტრენინგებს ჩაუტარებს.

ვულოცავთ გიორგის ამ წარმატებას და გვჯერა, ასეთი მიზანდასახული პიროვნებისათვის არც ესაა კარიერის ბოლო საფეხური.

გ. გოგოლაძე

საქართველო თამბაქოს გარეშე

ხაშურის მუნიციპალიტეტის და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხადაჭერით, დღეს 29 მარტს ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა შეუერთდა აქციას „საქართველო თამბაქოს გარეშე.“ ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მნიშვნელობაზე და თამბაქოს მოხმარების რეალური საფრთხის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

შეხედრაზე მოსწავლეებმა, ასევე, იმსჯელეს „ბულინგი - მოზარდებს შორის“ ძალადობის თემაზე და წარმოადგინეს პრეზენტაციები. ღონისძიებას ესწრებოდნენ რესურსცენტრის წარმომადგენლები,პედაგოგები, ფსიქოლოგი-ქეთი ქურდაძე და სასულიერო პირი-მამა ბასილი, რომლებმაც სასარგებლო რჩევები მისცეს მოსწავლეებს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@.gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

აქ ყველაფერი გაგაგიტყვებთ

ამ ადგილებზე!

D

ბევრმა, შესაძლოა, არც კი იცის, რომ ქალაქის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, №22-ში, უკვე 4 წელია ფუნქციონირებს „კულინარი 2012“, რომელშიც ადგილზე დამზადებულ 30

დასახელების პროდუქციას შემოგთავაზებენ .

ჯერ კიდევ გარედან იქცევს ყურადღებას ეს ნათელი, სუფთა, კოპწია შენობა, რომელიც ქალაქის საავადმყოფოს ცენტრალური შესასვლელის დასაწყისში, ხელმარცხნივ მდებარეობს. შესვლისთანავე გაგაოცებთ აქ შექმნილი სისუფთავე, სიმყუდროვე, სიმშვიდე, მაქსიმალური კომფორტი და, რაც მთავარია, აქაური ნამზადის გემო, მრავალფეროვნება და ხარისხი.

არც ისე ვართ განებივრებული ისეთი ადგილებით, სადაც ყოველდღიურობით გადაღლილნი სულის სიმყუდროვეს ვიპოვით, სადაც თბილად

მიგვიღებენ, გაგვიღიმებენ, მოგვემსახურებიან, სადაც მიმზიდველ, მშვიდ, მყუდრო, სუფთა გარემოში დაივანებთ დამაშვრალნი. დანაყრდებით, გახალისდებით, სტუმარსაც მიიყვანთ, გაუმასპინძლდებით, დაბოლოს, დიდად კმაყოფილი დარჩებით.

სწორედ ასეთი გარემოა აქ და მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალაქის ყველაზე ხალხმრავალ ადგილას მდებარეობს,სადაც მთელი ხაშურის მაჯისცემა იგრძნობა, აქაური სიმშვიდე და სიწყნარე იდეალური დასვენების საშუალებას იძლევა. აქ მართლაც სიამოვნებით წაიყვან სტუმარს, როცა ყველაზე მეტად გინდა, გამოიჩინო თავი სტუმართმოყვარეობითა და მასპინძლობით.

კომპანია მთლიანად აღჭურვილია ცნობილი იტალიური ბრენდის დანადგარებით. აქ დასაქმებულია 10 ადამიანი. მომუშავე პერსონალს პროფესიების მიხედვით გავლილი აქვთ სტაჟირება.

პროდუქციის მომზადებაში იყენებენ უმაღლესი ხარისხის ინგრედიენტებს. მომხმარებელს უფლება აქვს, თვითონ იხილოს, დაესწროს, თუ როგორ მზადდება პროდუქცია შენობის ქვედა სართულზე. ყველაფერი ყოველთვის უმაღლესი ხარისხისაა, ამიტომაც აირჩია კომპანიამ სლოგანი „ყოველთვის გემრიელია“, რომელიც 100%-ით ამართლებს მისი საქმიანობის შედეგს. მომხმარებელმა იცის, რომ ყოველდღიურად ხდება კომპანიის საკუთრებაში არსებული ინვენტარის გარეცხვა, გასუფთავება, სტერილიზაცია. სწორედ ამიტომ „კულინარი 2012“-ის ხშირი სტუმრები არიან როგორც ქ. ხაშურის მოქალაქეები, ასევე ჩვენი ქალაქის სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათ შორის ბევრი ცნობილი სახე.

საბჭოთა ჯავშირის 7 საოცრება:

1. ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი
2. მიუხედავად იმისა,რომ ყველას ჰქონდა სამუშაო ადგილი არავინ არ მუშაობდა
3. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მუშაობდა გეგმა 100% სრულდებოდა
4. მიუხედავად იმისა, რომ გეგმა 100% სრულდებოდა, მაღაზიებში მაინც არაფერი არ იყო
5. მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიებში არაფერი არ იყო მაინც ყველას ყველაფერი ჰქონდა
6. მიუხედავად იმისა, რომ ყველას ყველაფერი ჰქონდა მაინც იპარავდნენ
7. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს იპარავდნენ მაინც ყველას ყველაფერი ყოფნიდა.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.